საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/188 " 21 " მაისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) უზრუნველყოფს სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში, აგრეთვე მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კონფერენციებში მოსამართლეთა ფართო ჩართულობას, მიუხედავად სასამართლოების ინსტანციურობისა და სამოქმედო ტერიტორიისა;“;

ბ) მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. დღის წესრიგით გათვალისწინებული, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, თანდართულ მასალებთან ერთად ეცნობება საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რომლებიც აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ სასამართლოს შენიშვნებსა და წინადადებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს როგორც წერილობით, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სასამართლოს წარმომადგენლის მიერ უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი